უფლებების კომპასი

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

უფლებების კომპასი

ეს ბროშურა დაგეხმარება, უკეთ გაიცნო შენი უფლებები

თბილისი
2015

ბროშურის გამოცემა უზრუნველყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ბავშვების სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა.

გამოცემაზე პასუხისმგებელია სსიპ „ბავშვთა და ახალაგაზრდობის ეროვნული ცენტრი“. აკრძალულია მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ბროშურის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

ნატო ანთია

ქეთევან ჯაფარიძე

ნათია ხაინდრავა

რედაქტორი: თამარ თითმერია

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

ვაჟა-ფშაველას გამზირი, 76ბ, 0186, თბილისი, საქართველო

☎ +995 322 300 203

www.cync.ge

© გამოცემაზე ყველა საავტორო უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-0-8322-8

გაერთიანებული ერების (გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის სექტემბერში. საქართველო ამ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა აიღო.

კონვენცია ეხება ნებისმიერ პირს, რომელსაც 18 წელი ჯერ არ შესრულებია და ადასტურებს, რომ ბავშვი ფლობს ადამიანის ყველა უფლებას.

კონვენცია ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს, რომლებიც აერთიანებს დოკუმენტში წარმოდგენილ უფლებებს. ეს პრინციპებია: დისკრიმინაციის აკრძალვა; ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა; ბავშვის სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება; მონაწილეობის უფლება.

კონვენცია მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ბავშვს ასწავლის საკუთარ უფლებებს და აძლევს საშუალებას, მოითხოვოს მათი დაცვა. კონვენციას მიერთებული ქვეყნების ვალდებულებაა, პატივი სცენ ბავშვის უფლებებს, არ დაუშვან მათი დარღვევა და მუდმივად იზრუნონ ბავშვის ინტერესების დასაცავად.

- შენ გაქვს სიცოცხლისა და გაზრდის უფლება, რაც გულისხმობს შენს ფიზიკურ, გონებრივ, მორალურ, სულიერ და სოციალურ განვითარებას. შენი მშობლები ვალდებული არიან, შეგიქმნან ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს შენს განვითარებას. თუ შენს მშობლებს არ აქვთ ამის შესაძლებლობა, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ ან უზრუნველყოს ამ უფლების სხვაგვარად დაცვა.

- შენ დაცული უნდა იყო ყველა სახის დისკრიმინაციისგან*. შენ სრულად უნდა სარგებლობდე შენი უფლებებით, მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, წარმომავლობის, ჯანმრთელობის, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა ნებისმიერი გარემოებისა.

ნიკა მაისურაძე 12 წლის

** დისკრიმინაცია - ადამიანების მიმართ უსამართლო, უთანასწორო მოპყრობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის მიმართ.*

- ყველა საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც შენ გეხება, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შენი ინტერესები.

- შენ გაქვს უფლება, ისარგებლო ჯანმრთელობის დაცვით და საჭირო სამედიცინო დახმარებით. იმისათვის, რომ ჯანმრთელი გაიზარდო, შენ უნდა ცხოვრობდე სუფთა გარემოში, გქონდეს სუფთა წყალი და ჯანსაღი საკვები. შენ და შენს მშობლებს უფლება გაქვთ, იცოდეთ, როგორ დაიცვათ შენი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

სალომე ზაზაძე 13წლის

☑ შენ გაქვს უფლება, დაცული იყო ყველა სახის ძალადობისგან. დაუშვებელია, შენზე განხორციელდეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა. სახელმწიფომ ასევე უნდა დაგიცვას შეურაცხყოფის, უგულებელყოფის, ნებისმიერი ფორმის ექსპლუატაციის*, არასათანადო ან უხეში მოპყრობის, მოტაცების, გაყიდვისა და უცხო ქვეყანაში შენი უკანონოდ გადაყვანისგან.

ნინო გიორგაძე 12 წლის
მარიამ გიორგაძე 12 წლის

* ექსპლუატაცია - ადამიანის, მისი შრომის არაკეთილსინდისიერი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის.

- შენ დაცული უნდა იყო იძულებითი შრომისა და ნებისმიერი იმ საქმიანობისგან, რომელიც შეიძლება, საზიანო აღმოჩნდეს შენი ჯანმრთელობისთვის, შეაფერხოს შენი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარება ან ხელი შეგიშალოს განათლების მიღებაში.

გიორგი ბაბაიანი 12 წლის

- შენ გაქვს უფლება და ვალდებულება, უფასოდ მიიღო დაწყებითი განათლება, ხოლო განათლების სხვა საფეხურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შენთვის. განათლება შენი პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისაკენ უნდა იყოს მიმართული. სკოლაში უნდა მოგამზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და გასწავლონ თანასწორობა, ადამიანის უფლებების, შენი მშობლების, ქვეყნის, კულტურის, ერისა და სხვა ადამიანების ღირებულებების პატივისცემა.

- სკოლაში წესრიგის დამყარებისას, უნდა მოგექცნენ პატივისცემით, დაუშვებელია შენი ღირსების შელახვა.

ნიკა გაფრინდაშვილი 13 წლის

☑ თუ შენ გაქვს შეზღუდული შესაძლებლობა, სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს შენზე, შეგიქმნას თანასწორი შესაძლებლობები, რათა სრულად ისარგებლო შენი უფლებებით და ღირსეულად იცხოვრო საზოგადოებაში.

მარი ნადირაძე 12 წლის

☑ შენ გაქვს უფლება, დაისვენო და ითამაშო, ასევე, მონაწილეობა მიიღო შენთვის საინტერესო ისეთ ღონისძიებებში, რომელიც შეესაბამება შენს ასაკს და არ არღვევს შენს უფლებებს.

ნიკა გაფრინდაშვილი 13 წლის



სალომე ზაზაძე 13 წლის

იდენტობა, პირადი და ოჯახური ცხოვრება



☑ შენ გაქვს უფლება, დარეგისტრირდეს* შენი დაბადება, გქონდეს სახელი და მოქალაქეობა.

ნინო ლაბაძე 12 წლის

☑ შენ გაქვს უფლება, შეინარჩუნო შენი ინდივიდუალობა. შენ არ შეიძლება, შეგეზღუდოს საკუთარი კულტურით, წეს-ჩვეულებებით, ენით ან რელიგიით სარგებლობის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობათა ჯგუფს წარმოადგენ იმ ქვეყანაში, სადაც შენ ცხოვრობ.

☑ შენ გაქვს პირადი ცხოვრების უფლება. არავის აქვს უფლება, უკანონოდ შეგაწუხოს და ჩაერიოს შენი ან შენი ოჯახის პირად ცხოვრებაში. შენი საცხოვრებელი ადგილი, პირადი მიმოწერა (წერილები, ელექტრონული ფოსტა), რეპუტაცია და ღირსება დაცულია კანონით.

---

* რეგისტრაცია - ინფორმაციის აღიცხვა, ჩაწერა სათანადო სამსახურის მიერ.

☑ შენს გაზრდაზე პასუხისმგებლობა ერთობლივად აკისრიათ შენს მშობლებს. მათ აქვთ უფლება და მოვალეობა, ზრდასთან ერთად, გასწავლონ შენი უფლებების სათანადოდ გამოყენება და შენი ვალდებულებების პატივისცემა. მათ ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რა არის უკეთესი შენთვის.

თამარ ბერიძე 11 წლის

- შენ გაქვს უფლება, იცხოვრო და გაიზარდო შენს მშობლებთან და არ დაშორდე მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შენს ინტერესებს აზიანებს, მაგალითად, როდესაც მშობლები არ გექცევიან კარგად ან არ ზრუნავენ შენზე.

ანა ლომიძე 12 წლის

- თუ შენი მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს, შენ გაქვს უფლება, გამოთქვა აზრი მშობლებთან შენი ურთიერთობის საკითხებზე.

  თუ შენი მშობლები დაშორდნენ და ცალ-ცალკე ცხოვრობენ, შენ გაქვს უფლება, ორივე მშობელთან გქონდეს ურთიერთობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ურთიერთობამ შეიძლება, დაგაზიანოს.

- შენ გაქვს უფლება, იცოდე, სად არიან შენი მშობლები, ასევე, წახვიდე მათთან და გქონდეს პირადი კონტაქტი, თუ ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ.

- შენი შვილად აყვანის უფლება შეიძლება მიეცეს სხვა პირს/პირებს შენს ქვეყანაში ან სხვა ქვეყანაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შენს საუკეთესო ინტერესებშია.

დავით ცაგარელი 11 წლის

თავისუფლებები

- შენ გაქვს შენი შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის უფლება. უფროსები და სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, მოგისმინონ და სათანადო ყურადღება დაუთმონ შენს მოსაზრებებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც შენ გეხება.

ნინო კობალაძე 11 წლის

☑ შენ გაქვს უფლება, თავისუფლად გამოხატო საკუთარი აზრი; მოიძიო, მიიღო და გასცე ნებისმიერი სახის ინფორმაცია, შენთვის მოსახერხებელი ფორმით (ზეპირად, წერილობით, ბეჭდვითი ფორმით, ინტერნეტის საშუალებით და სხვა). ეს უფლება შეიძლება შეგეზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საზიანოა შენთვის ან სხვა ადამიანებისთვის.



გიორგი ლალუაშვილი 14 წლის

☑ შენ გაქვს უფლება, გქონდეს საკუთარი შეხედულებები, ასევე, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. რწმენისა და რელიგიით სარგებლობის თავისუფლება შეიძლება შეგეზღუდოს კანონით, თუ ეს არღვევს სხვა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს.

მარი აფრიამაშვილი 12 წლის

☑ შენ გაქვს სხვა ადამიანებთან გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება შენი ინტერესების შესაბამისად, თუკი ეს საზიანო არ არის შენთვის ან სხვებისთვის.

მარიამ შავიძე 12 წლის

სახელმწიფოს ვალდებულებები

- სახელმწიფო ვალდებულია, ყველა ბავშვსა და უფროსს გააცნოს შენი უფლებები.
- სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა ზომას, რომ შენ მოგეცეს შენი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.
- სახელმწიფო უნდა გიცავდეს და ზრუნავდეს შენს კეთილდღეობაზე. ის უნდა დაეხმაროს შენს მშობლებს ან იმ პირებს, ვინც შენზე ზრუნავენ, შენს მოვლასა და ინტერესების დაცვაში.
- თუ შენ არ შეგიძლია, იცხოვრო შენს ოჯახთან ერთად, სახელმწიფო უნდა დაგეხმაროს, რომ სხვა ადამიანებმა შეგიქმნან ოჯახური გარემო. მათ უნდა დაიცვან შენი უფლებები, იზრუნონ შენზე და პატივი სცენ შენს წარმომავლობას, რელიგიას, კულტურასა და ენას.
- თუ შენ არ ცხოვრობ შენს მშობლებთან და შენზე ზრუნავენ სახელმწიფო დაწესებულებები, სახელმწიფო პერიოდულად უნდა ამოწმებდეს, არის თუ არა დაცული შენი უფლებები და რამდენად კარგად ზრუნავენ შენზე ამ დაწესებულებებში.

ნიკა მაჭავარიანი 12 წლის

- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შენზე და მიიღოს ყველა ზომა შენს დასაცავად, თუ შენ მოგიწია შენი ქვეყნის დატოვება და გჭირდება ლტოლვილის სტატუსის მიღება. ის, ასევე, უნდა დაგეხმაროს შენი მშობლების ან ოჯახის წევრების მოძებნაში.

- შენ დაცული უნდა იყო წამებისგან, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისგან.

მარიამ შავიძე 12წლის

- შენ არ შეიძლება, დაგაკავონ კანონიერი საფუძვლის გარეშე. შენი დაკავება ან დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და, რაც კი შესაძლებელია, მოკლე დროით.

გიორგი ბაბაიანი 12 წლის

- შენ არ შეიძლება, მოგესაჯოს სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა დანაშაულის ჩადენისთვის.

თუ შენ ჩაიდინე დანაშაული, უნდა გაგაცნონ, რაში გედება ბრალი და გაგეწიოს სამართლებრივი დახმარება.

- შენ არ უნდა განგათავსონ ციხეში უფროსებთან ერთად. შენ უნდა გქონდეს ოჯახთან ურთიერთობის შესაძლებლობა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ეს საზიანოა შენთვის. იმ დაწესებულებაში, სადაც განწესდები, უნდა ზრუნავდნენ შენზე, არ უნდა მოგეპყრონ სასტიკად და დაცული უნდა იყოს შენი უფლებები.

თამარ ბერიძე 11 წლის

☑ სახელმწიფომ უნდა დაგიცვას ომის დროს. ვიდრე არ შეგისრულდება 15 წელი, მან არ უნდა გაგიწვიოს ჯარში ან ჩაგრთოს საომარ მოქმედებებში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენ უკვე გახდი 15 წლის, 18 წლამდე, სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ მაქსიმალურად აგარიდოს ჯარში გაწვევა.

ნინო სეფერგული 11 წლის

- სახელმწიფომ უნდა დაგიცვას ძალადობისგან. თუ შენ ნებისმიერი სახის ძალადობის, უგულებელყოფის, ექსპლუატაციის, წამების, სასტიკი, არასათანადო, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, დასჯის ან ომის მსხვერპლი ხარ, უნდა გაგეწიოს სათანადო დახმარება ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის*, რათა შეგეძლოს შენი თანატოლებივით ცხოვრება.

* რეაბილიტაცია - ფიზიკური და ფსიქიკური გაჯანსაღება.

საბა გობიანი 13 წლის

ვის შეგიძლია მიმართო თუ შენი უფლებები ირღვევა

პოლიციას
☎ 112

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
☎ 1505

საქართველოს სახალხო დამცველს
☎ 1481

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (თუ მიგაჩნია, რომ სკოლაში დაირღვა შენი უფლებები)
☎ +995 32 2 200 220

სასამართლოს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (შენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს

პროექტის შესახებ

ბროშურა შემუშავდა „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ სამოქალაქო განათლების პროგრამის, ტრენინგ-კურსის „უფლებების კომპასის“ ფარგლებში.

ტრენინგ-კურსი მიზნად ისახავდა არაფორმალური განათლების მეთოდების საშუალებით მოსწავლეებისთვის ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათი მონაწილეობის ხარისხისა და უფლებების ადვოკატირების უნარის გაუმჯობესებას. ტრენინგ-კურსი ეყრდნობოდა ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში - „კომპასიტოს“. კურსი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: ბავშვის უფლებები, დემოკრატია, მოქალაქეობა, გენდერული თანასწორობა, მონაწილეობა, კეთილდღეობა და დისკრიმინაცია.

ტრენინგი გაიარა თბილისის, ხაშურის, ბორჯომისა და ახალციხის საჯარო სკოლების* 10-13 წლის 120-მა მოსწავლემ.

*სსიპ ქ. თბილისის N126 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ხაშურის N1 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ხაშურის დავით კაკიაშვილის სახელობის N2 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ხაშურის N3 საჯარო სკოლა, სსიპ ქ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ბორჯომის N3 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ბორჯომის N4 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ბორჯომის N6 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ახალციხის N1 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ახალციხის N5 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. ახალციხის N6 საჯარო სკოლა.